ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 31/6

თბილისი

„09" „02" 2011 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ მახარაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ავერსი–ფარმა" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პაატა კურტანიძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი სახსრების ფარგლებში, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) დუშეთის შშმპ პანსიონატის საჭიროებისათვის მედიკამენტების შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 19,00 (ცხრამეტი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების საერთო ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება დანართი #1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 11 თებერვლის ჩათვლით, „მიმწოდებლის" სააფთიაქო ქსელიდან, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის #148ა

4.2. „მიმწოდებლის" მიერ ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 80%–ისა.

4.3. მედიკამენტების შეძენის პერიოდში „შემსყიდველმა" იხელმძღვანელოს ფარმაცევტულ, სამედიცინო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპორტო-დიაგნოსტიკურ და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალურ ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის #150/ნ ბრძანების პირველი პუნქტის `ვ[1] ქვეპუნქტით დამტკიცებული ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების წესით (დანართი #6[1])

4.4. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" წარუდგენს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და სასაქონლო ზედნადებს დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3. ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებულ დოკუმენტების და 15.1. პუნქტში აღნიშნული კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი მოთხოვნის შესაბამისად და უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი სააფთიაქო ქსელის აფთიაქებს ხელშეკრულების პირობების შესახებ.

7.1.3. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველის" მიერ "ფარმაცევტულ, სამედიცინო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპორტო-დიაგნოსტიკურ და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის #150/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართი #6[1]-ის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდეგენის შემდეგ არ შეუქმნას პრობლემა საქონლის მიწოდებაში.

7.1.5. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.6. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.1.7. მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი, რომლის, ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 80%–სა.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" მიწოდებული საქონლის საფასურის გადახდა.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. მიმწოდებელს წარუდგინოს „ფარმაცევტულ, სამედიცინო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპორტო-დიაგნოსტიკურ და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის #150/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართი #6[1]–ის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარუდგინოს „მიმწოდებელს".

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების

შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე–7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისგან, ხოლო ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ვალდებულების

შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) დუშეთის შშმპ პანსიონატის უფროსი დარეჯან თომაძე.

15.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

15.2.1. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;

15.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების აქტისა" და ,,ინსპექტირების აქტის" გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2011 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან" ორი ეგზემპლარი _ ,,შემსყიდველთან"

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"	შპს „ავერსი–ფარმა"
ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. №144	ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. №148/2
ს/ს „საქართველოს ბანკი"	ს/ს „საქართველოს ბანკი"
კოდი № BAGAGE22	ცენტრალური ფილიალი
ა/ა № 878284200	კოდი № BAGAGE22
ს/კ № 202465153	ა/ა № 122932100
	ს/კ № 211386695
თამარ ძახარაშვილი	პაატა კურტანიძე
დირექტორი	გენერალური დირექტორი

დანართი #1

№	დასახელება	მოცულობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	დიაზეპამი 2მლ #10	ცალი	2	9,50	19,00
				სულ:	19,00

სსიპ "სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"ს
დირექტორი

თ. მახარაშვილი.....

შპს „ავერსი–ფარმა"–ს
გენერალური დირექტორი

ვ. კურტანიძე.....